

## ცნობა

ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოში (მის: დაბა ხულო ტბელ აბუსერისძის ქუჩა N1 ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული) მიმდინარეობს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება „ხულოს მუნიციპალიტეტის 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების“ შესახებ ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტის თაობაზე;

განსახილველ საკითხთან დაკავშირებით საზოგადოებრივი ორგანიზაციების, იურიდიული პირების, მოქალაქეებისა და საკრებულოს კომისიების/ფრაქციების წინადადებების, შენიშვნების და შეფასებების ვადა განისაზღვრება ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით.

ხულოს მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტი ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განიხილება 2018 წლის დეკემბერის თვის მორიგ სხდომაზე.

მსურველებს შეუძლიათ მიიღონ მონაწილეობა ხულოს მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის განხილვაში, რომელიც გაიმართება ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის მცირე დარბაზში.

დამატებით ინფორმაციისათვის გთხოვთ, მიმართოთ ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატს.

მისამართი: დაბა ხულო ტბელ აბუსერისძის ქუჩა N1 ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მესამე სართული.

ხულოს მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტის ცხრილი შეგიძლიათ იხილოთ ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ოფიციალურ ვებგვერდზე ([www.khulo.ge](http://www.khulo.ge)) სამართლებრივი აქტების ველში.